ჯაბა სამუშია დაიბადა 1971 წლის 15 აგვისტოს, ქალაქ თბილისში. 1994 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.
2000 წელს კი ლონდონის EDWARDS LANGUAGE SCHOOL -ში , მონაწილეობა აქვს მიღებული ათობით საერთაშორისო კონფერენციასა და სემინარში.

კარიერა
1994 წლიდან მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ჯგუფის ხელმძღვანელი; 2006-2011 ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი; 2011-2012 ასოცირებული პროფესორი. 2012 წლიდან დღემდე სრული პროფესორი).

2010-2014 წლების მოწვევის თბილისის საკრებულოს წევრი (თავმჯდომარის მოადგილე; თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;). 2014-2017 წწ. თბილისის საკრებულოს მოწვევის წევრი (ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

ქალაქ ტორუნის (პოლონეთი) აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ჟურნალის, „Studia Orientalne“ სამეცნიერო საბჭოს წევრი[2]. ვარშავის უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოს – საუნივერსიტეტო მედლის მფლობელი[3]. სასკოლო სახელმძღვანელოების და სალექციო კურსების ავტორი.

მონაწილეობა აქვს მიღებული ისეთი გამოცემების მომზადებაში, როგორიცაა: „ქართული დიპლომატიური ლექსიკონი“, „ივანე ჯავახიშვილი- ენციკლოპედიური ლექსიკონი“, „ქართული საისტორიო ენციკლოპედიური ლექსიკონი“, „Православная Энциклопедия“ და სხვა. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა რამდენიმე მასშტაბური პროექტი: ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა 5 ტომეულისა და „საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის“ 30 ტომეულის გამოცემა.
2014-2017 წლებში იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ტაო-კლარჯეთის ქართული ციხე-სიმაგრეების“ სამეცნიერო ხელმძღვანელი.

2010 წლიდან რადიო გადაცემის „ისტორიანი ჯაბა სამუშიასთან ერთად“ ავტორი და წამყვანი.
2008-2009 წლებში მონაწილეობდა სამაუწყებლო კომპანია „პირველი არხის“ მიერ მოწყობილ მედია-პროექტში: „საქართველოს დიდი ათეული“, იყო პროექტის მთავარი ექსპერტი.
2007 წელს სატელევიზიო სერიალის „საქართველოს ისტორია“ სცენარის თანაავტორი და ექსპერტი (ტელეკომპანია „მზე“).
2006-2008 სატელევიზიო სერიალ „მხედართმთავარის“ ექსპერტი (ტელეკომპანია „საქართველო“).

ბიბლიოგრაფია
ავტორია 200 მეტი ნაშრომისა, მათ შორის:

- ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, წიგნი I, თბ., 1999
- ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან (საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში), თბ. 2003;
- ბაგრატიონთა სამეფო ოჯახი (XI-XII სს.), გენეალოგიური ნარკვევი, თბ. 2003;
- მეფეთ მეფე გიორგი II (თანაავტორი რ. მეტრეველი), თბ. 2003 (მეორე განახლებული გამოცემა თბ. 2018);
- არტანუჯის ციხე-ქალაქი, თბ. 2008;
- საქართველოს დიდი ბრძოლები, თბ. 2009;
- ასე შენდებოდა თბილისის წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, თბ. 2010;
- თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება, თბ. 2010;
- ბაგრატ III, თბ. 2012 (მეორე განახლებული გამოცემა თბ. 2018);
- Святой Давид Строитель-обьединитель кавказа (თანაავტორი რ. მეტრეველი), თბ. 2015;
- საქართველოს სამხედრო ისტორია (ნარკვევები) თბ. 2015;
- ჩინგიზ-ყაენი, თბ. 2018.

„საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის“ სერიით არის ავტორი წიგნებისა:

- მეფე თამარი, საქართველოს ილუსტრირებული ისტორია, ტ. 1, გამომც. პალიტრა L, თბ., 2014, 48 გვ.
- თბილისის ისტორია, საქართველოს ილუსტრირებული ისტორია, ტ. 1, გამომც. პალიტრა L, თბ., 2014, 48 გვ.
- ომი და მეომრები, საქართველოს ილუსტრირებული ისტორია, ტ. 1, გამომც. პალიტრა L, თბ., 2014, 48 გვ.
- დავით აღმაშენებელი, საქართველოს ილუსტრირებული ისტორია, ტ. 5, გამომც. პალიტრა L, თბ., 2015, 48 გვ.
- ფარნავაზი, საქართველოს ილუსტრირებული ისტორია, ტ. 8, გამომც. პალიტრა L, თბ., 2015, 48 გვ.
- ჯ. სამუშია, ნ. გძელიძე, ქრისტიანობა საქართველოში, საქართველოს ილუსტრირებული ისტორია, ტ. 14, გამომც. პალიტრა L, თბ., 2015, 48 გვ.
- მ. გუნცაძე, ჯ. სამუშია, საქართველოს გაერთიანება, საქართველოს ილუსტრირებული ისტორია, ტ. 16, გამომც. პალიტრა L, თბ., 2015, 48 გვ.
- ჯ. სამუშია, ტაო-კლარჯეთი, საქართველოს ილუსტრირებული ისტორია, ტ. 23, გამომც. პალიტრა L, თბ., 2016, 48 გვ.
- ჯ. სამუშია, ბრძოლის საუკუნე, საქართველოს ილუსტრირებული ისტორია, ტ. 25, გამომც. პალიტრა L, თბ., 2016, 48 გვ.
- ჯ. სამუშია, სამეფოებად და სამთავროებად დაშლილი საქართველო, საქართველოს ილუსტრირებული ისტორია, ტ. 26, გამომც. პალიტრა L, თბ., 2016, 48 გვ. (თანაავტორი ალ. ბოშიშვილი)

- ჯ. სამუშია, დასავლეთ საქართველო XV-XIX სს. საქართველოს ილუსტრირებული ისტორია, ტ. 28, გამომც. პალიტრა L, თბ., 2016, 48 გვ. (თანაავტორი სულხან კუპრაშვილი)